პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 161 (5970)

1977 წ. 17 აგვისტო, ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მძლეოსნობა

დამაფიქრებელი შედეგები

•

ჰელსინკის გაკვეთილები

•

მრავალჭიდელთა ტრადიციული

კიდევ ერთი უსახელო

•

ქართველ ალპინისტთა გამარჯვება

•

სასიხარულო ცნობა მოვიდა პამირიდან. ადამიანმა კიდევ ერთ უსახელო მწვერვალზე დადგა ფეხი. მით უფრო საამაყოა ეს გამარჯვება, რომ მისი სულისჩამდგმელნი ქართველი ალპინისტები არიან.

„საქართველოს ალპური კლუბის გუნდმა მოსკოველ მთამსვლელებთან ერთად (ხელმძღვანელი დ. დანგაძე) პამირის ცენტრში, ჩვენი ქვეყნის უმაღლესი მწვერვალის კომუნიზმის პიკის მახლობლად დაიპყრო უსახელო მწვერვალი, რომლის სიმაღლე 5600 მეტრია და პირველამსვლელთა უფლებით „დიდი ოქტომბრის 60-ე წლისთავი“ შეარქვა სახელად“.

ამ მოკლე, მშრალი ფაქტების შემცველი დეპეშის მიღმა, რომელსაც ხელს აწერენ ექსპედიციის უფროსი **შ. მირიანაშვილი**, გუნდის მწვრთნელი **გ. აბაშიძე** და ექსპედიციის უფროსის მოადგილე **თ. ვაშაძე**, მომქანცველი, ვაჟკაცური შემართების მრავალი დღე და ღამე. ეს პატარა ცნობა კიდევ ერთი, დიდი წარმატების მაუწყებელია, რომელიც კუთვნილ ადგილს დაიჭერს ქართული ალპინიზმის ისტორიაში.

სოფია ეგებება უნივერსიადას

დღეს სოფიაში სტარტს აიღებს უნივერსიადა. ბულგარეთის დედაქალაქი სტუდენტ-სპორტსმენთა ამ მსოფლიო ფორუმს მეორედ უმასპინძლებს. 1961 წელს სტუმართმოყვარე ბულგარელმა ხალხმა 32 ქვეყნის სტუდენტთა შეხვედრები სპორტის, მეგობრობისა და მშვიდობის დაუვიწყარ ფესტივალად გადააქცია. მაშინდელი უნივერსიადის ბევრი მონაწილე დღესაც ჩავა სოფიაში. ზოგი მათგანი მწვრთნელია, ზოგი სპორტული ხელმძღვანელი, ზოგი ექიმი. იმდროინდელი უნივერსიადის ჩემპიონები და პრიზიორები ამ სტარტებისთვის ამზადებდნენ თავიანთ შვილებს, რომლებმაც უკვე გამოიჩინეს თავი სპორტულ სარბიელზე. განსაკუთრებული ყურადღებით იქნებიან გარემოსილნი წლევანდელი თამაშების ის მონაწილეები, რომლებიც 10 მთავარ ოლიმპიურ სახეობაში იასპარეზებენ. ყოველი მათგანისთვის უნივერსიადა გენერალური რეპეტიციაა ოლიმპიადა-80-ისთვის. 90 ქვეყნის გუნდების ყოველი წევრი, რომელიც ახლა სოფიაში იასპარეზებს, არა მარტო ოცნებობს, არამედ სერიოზულად ემზადება მოსკოვის ოლიმპიადაში მონაწილეობისთვის.

ჩატარებული 7 უნივერსიადიდან საბჭოთა სპორტსმენებმა ექვსში მიიღეს მონაწილეობა. და სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი — ბრაზილიის პორტუ-ალეგრიში, თუ მხიარულ და მზიან ბუდაპეშტში, ყველგან საბჭოთა სტუდენტებს მაღლა ეჭირათ ჩვენი ქვეყნის სპორტული ალამი.

სოფიაში საბჭოთა სტუდენტები სპორტის თერთმეტივე სახეობაში იასპარეზებენ. გუნდი, რომლის შემადგენლობაში 240 სპორტსმენი შევიდა, შედგენილ იქნა VII საკავშირო საზაფხულო სტუდენტური თამაშების შედეგების მიხედვით, რომელშიც მილიონ-ნახევარზე მეტმა საბჭოთა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა. ახალბედების გვერდით, რომლებიც პირველად გამოდიან საერთაშორისო სარბიელზე, არიან სახელგანთქმული ათლეტები, სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს რეკორდსმენები, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები და პრიზიორები. მძლეოსნების გუნდს სათავეში უდგას ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ლენინგრადელი ასპირანტი ტ. კაზანკინა; მოცურავეებს — მონრეალის ოლიმპიადის პრიზიორი კრასნოდარელი ლ. რუსანოვა. 1977 წლის მსოფლიო ჩემპიონებთან ა. რომანკოვთან, მ. ბურცევთან, ვ. სიდოროვასთან და ო. კნიაზევასთან ერთად გამოვლენ მომავალი ოლიმპიელები, მოფარიკავეები: კიეველი ბ. ფომენკო, მოსკოველი ს. კოსენკო და ორჯონიკიძელი ზ. ძახოვა.

საბჭოთა სტუდენტი-სპორტსმენები არა მარტო უნივერსიადის უმაღლესი ჯილდოებისთვის იბრძოლებენ, არამედ მოაწყობენ შეხვედრებს, საუბრებს, დისპუტებს 90 ქვეყნის ახალგაზრდებთან. ჩვენი დელეგაცია უნივერსიადის მონაწილეებს გააცნობს თუ როგორ ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში უფასო განათლების უფლება, თუ როგორ ზრუნავენ კომუნისტური პარტია და მთავრობა ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებისთვის.

15 აგვისტოს საბჭოთა სტუდენტების პირველ ჯგუფთან ერთად სოფიაში „ჩავიდა“, აგრეთვე, გამოფენა „ოლიმპიური მოსკოვი“. ჩვენი დელეგაცია უცხოელ მონაწილეებს გააცნობს მოსკოვის მზადებას ოლიმპიადისთვის. უნივერსიადის დროს ერთმანეთს შეხვდებიან ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტისა და უცხოეთის სპორტული დელეგაციების წარმომადგენლები, უჩვენებენ კინოფილმებს მოსკოვზე, საბჭოთა სპორტზე. საგამოფენო დარბაზებში გამოვლენ ცნობილი საბჭოთა სპორტსმენები.

...ეს მომენტები კარგადაა ცნობილი. მაგრამ იგი ყოველთვის ახლებურად გვაღელვებს, ქმნის განსაკუთრებულ საზეიმო განწყობილებას. დამთავრდა დელეგაციების პარადი. მიჩუმდა ორკესტრი, სტადიონზე სიწყნარემ დაისადგურა. ტრიბუნაზე ადის ცნობილი ათლეტი და შეჯიბრების მონაწილეთა სახელით ამბობს: „...ვფიცავთ, რომ ჩვენ ამ შეჯიბრებებში გამოვალთ სპორტის სადიდებლად, ჩვენი გუნდების ღირსების დასაცავად“.

ამ სიტყვებს დღეს ვასილი ლევსკის სახელობის სტადიონზე უნივერსიადის გახსნის ცერემონიალზე იტყვის სოფიის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტის 23 წლის სტუდენტი დ. კოლაროვი, რომელიც წლების განმავლობაში იყო ბულგარეთის ჩემპიონი და რეკორდსმენი ცურვაში, მონაწილეობდა ორ მსოფლიო ჩემპიონატში.

ტრანსპარანტებითა და დროშებით დამშვენებული ქალაქი სადღესასწაულოდ გამოიყურება. განსაკუთრებით საზეიმოდ მოურთავთ შეჯიბრების ადგილები — სტადიონები, სპორტდარბაზები, აუზები, ბევრი მათგანი სპეციალურად ამ თამაშებისთვის აიგო.

სოფიაში იწყება მსოფლიო ახალგაზრდობის კიდევ ერთი დღესასწაული, ვაჟკაცური სპორტული მეტოქეობის ზეიმი.

ნ. პანიევი,
ბ. ფედოსოვი.
(„იზვესტიის“ სპეც. კორ.).

სოფია.



ვიტყობინებოდით, რომ ჰელსინკში დამთავრდა კონტინენტის თასების მორიგი გათამაშება მძლეოსნობაში. იმასაც ვწერდით, რომ ამ შეჯიბრებაში I და II ადგილებზე გასული გუნდები 2-4 სექტემბერს მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიო თასების გათამაშებაში, რომელიც დიუსელდორფში (გფრ) ჩატარდება.

ჰელსინკში საბჭოთა ათლეტები მაინცდამაინც ბრწყინვალედ ვერ გამოვიდნენ. ფაქტიურად ეს შეჯიბრება გახლდათ გდრ-ის სპორტსმენთა ტრიუმფი. მათ სულ 19 ოქროს მედალი მოიგეს და საერთო გუნდურ ჩათვლაში ძალიან ჩამოიტოვეს ყველა მეტოქე. პირად პირველობაში გდრ-ის ქალებმა 2 მსოფლიო რეკორდი დაამყარეს.

ქალთა შორის განსაკუთრებით საინტერესო იყო 400 მეტრზე თარჯრბენი. მსოფლიო რეკორდსმენ ტ. სტოროჟევასა (სსრ კავშირი) და კ. როსლეის (გდრ) ორთაბრძოლაში პოლონელი კ. კასპერჩიკიც ჩაერია. სტოროჟევა კარგა ხანს ენერგიულად მიიწევდა წინ, მაგრამ როსლეიმ შუა დისტანციის შემდეგ მეტოქეებს დაუმტკიცა, რომ ამ ტურნირში მხოლოდ ის უნდა ყოფილიყო მსოფლიო რეკორდსმენი — 55.63

წვიმიან და ცივ ამინდს არ შეუნელებია ბრძოლათა სიმწვავე. ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა რ. აკერმანმა (გდრ) 197 სმ გადალახა, რაც მისსავე ძველ მსოფლიო მიღწევას 1 სანტიმეტრით სჯობს. თუ გავიხსენებთ, რომ არც ისე დიდი ხნის წინ ასეთი სიმაღლის დაძლევა ვაჟებსაც უჭირდათ, დავრწმუნდებით, თუ როგორ დაწინაურდა სპორტის ეს სახეობა ქალთა შორის.

პროგრამის უმეტეს სახეობებში ბრძოლების მთავარი მონაწილენი ქალთა შორის გდრ-ისა და სსრ კავშირის მძლეოსნები იყვნენ. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ შეჯიბრებაში გამოსვლა გდრ-ის ნაკრების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი გახლდათ.



საბჭოთა სპორტსმენები მხოლოდ სამჯერ ავიდნენ გამარჯვებულთა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, ესენი არიან ფ. ველევა-მელნიკი, რომელმაც ბადრო 68,08 მეტრზე ტყორცნა, ტ. კაზანკინა, რომელმაც 1500 მეტრი 4 წუთსა და 4,3 წამში დაფარა და ლ. ბრაგინა. მან მოიგო 3000 მეტრზე რბენა — 8.49,9.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ზოგიერთ სახეობაში გდრ-ის ათლეტთა შედეგები სხვა მონაწილეთა მაჩვენებლებს ბევრად სჯობდა. მაგალითად, სიგრძეზე ხტომაში ბ. კიუნცელმა 676 სმ დაძლია მაშინ, როცა მის მეტოქეთაგან 640 სანტიმეტრზეც კი ვერავინ გადახტა. ოლიმპიურმა ჩემპიონმა რ. ფუქსმა შუბი 68,92 მეტრზე ტყორცნა, მისი უახლოესი მეტოქე ტ. სანდერსონი (დიდი ბრიტანეთი) კი თითქმის 6 მეტრით ჩამორჩა. 400 მეტრზე ასპარეზობაში წლევანდელი სეზონის ლიდერმა მ. კოხმა მოწინააღმდეგეებს წამნახევრით აჯობა.

სხვა გუნდების წარმომადგენლებიდან მხოლოდ ოლიმპიურმა ჩემპიონმა, დაუღალავმა ი. შევინსკამ (პოლონეთი) შეძლო I ადგილის მოპოვება, იგი 200 მეტრზე რბენის (22,71) ფინიშთან პირველი მივიდა.

ვაჟთა შეჯიბრებაში საბჭოთა სპორტსმენებმა წარმატების სიხარული მხოლოდ ტურნირის დასკვნით დღეს იგემეს, როცა ლენინგრადელმა ა. პისკულინმა სამხტომში პირველობა მოიგო — 17,09 და უახლოესი მეტოქე თითქმის მეტრით ჩამოიტოვა. ვიტებსკელმა ნ. გრებნიოვმა შუბის ტყორცნაში 87,18 მეტრი აჩვენა.

ეს იყო და ეს. სხვა სახეობებში საბჭოთა ათლეტები უფრო მოკრძალებულ შედეგებს დასჯერდნენ იმ სახეობებშიც კი, რომლებშიც მათგან გამარჯვებას ელოდნენ. განა შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ჭოკით ხტომაში სსრ კავშირის ჩემპიონი ვ. კიშკუნი, რომელმაც ორიოდე კვირის უკან 555 სმ დაძლია, ჰელსინკში ამ შედეგს 55 სმ-ით გააუარესებდა და ბოლო, VIII ადგილს დაიკავებდა? ან ვინ წარმოიდგენდა, რომ დონეცკელი ა. იაროში, რომელსაც წლეულს ბირთვის კვრაში თითქმის 21 მეტრი ჰქონდა ნაჩვენები, ჰელსინკში გადამწყვეტ მომენტში მხოლოდ VII ადგილს (19,04 მ) დასჯერდებოდა?

საბჭოთა სპორტსმენების წარუმატებლობა ჰელსინკში განსაკუთრებით იმისი ბრალია, რომ მათ ძალზე სუსტად იასპარეზეს 400, 800, 1500 მეტრზე, აგრეთვე, 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში.

მართალია, ცნობილმა საბჭოთა მარათონელმა ლ. მოისეევმა 10000 მეტრზე რბენაში წლეულს საბჭოთა სპორტსმენებს შორის სეზონის საუკეთესო შედეგი (28.03,6) აჩვენა, მაგრამ ამით მოისეევმა მხოლოდ III ადგილი მოიპოვა მაშინ, როცა ი. პეტერმა (გდრ) დისტანციის გარბენას 27.55,0 მოანდომა, დ. ულემანმა (გფრ) კი — 27.58,79.

ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვ. ბორზოვმა 100 მეტრზე რბენაში III ადგილი დაიკავა. აქაც პირველი გდრ-ის გუნდის წევრი ო. რაი გახლდათ — 10,12. ბორზოვი მას 0,21 წამით ჩამორჩა.

უკანასკნელი ოლიმპიადის ჩემპიონმა უროს ტყორცნაში ი. სედიხმა წინ გაუშვა ორი სპორტსმენი. გამარჯვებულ კ. — ხ. რიმს (გფრ) იგი 2,30 მეტრით ჩამორჩა. სედიხის შედეგია — 73,60 მ.

აშკარად მოულოდნელი იყო ვაჟთა სიმაღლეზე ხტომაში საბჭოთა სპორტსმენების მარცხი. რ. ბაილშმიდტმა (გდრ) 231 სმ დაძლია და I ადგილი დაიკავა. ვ. გრიგორიევი III ადგილზეა — 220 სმ.

გაგაცნობთ კიდევ რამდენიმე შედეგს. ქალთა შორის 100 მეტრზე რბენა მოიგო მ. ოლსენმა (გდრ) — 11,07. 400 მეტრზე ასპარეზობაში უძლიერესი გახლდათ ნ. კოხი (გდრ) — 49.53. (მ. სიდოროვა მას 1,27 წამით ჩამორჩა). კ. ლიბეტრაუსს (გდრ) ბადალი არ ჰყავდა 800 მეტრზე ასპარეზობაში — 2.00,17. გდრ-ის ქალებმა მოიგეს ესტაფეტებიც. ვაჟთა შორის 400 მეტრზე რბენის ფინიშთან პირველი მივიდა ბ. ჰერმანი (გფრ) — 45,92. 1500 მეტრზე იმარჯვა ს. ოვეტმა (დიდი ბრიტანეთი) — 3.44,94. 400 მეტრზე თარჯრბენში უძლიერესი გახლდათ ფ. ბეკი (გდრ) — 49,9, სიგრძე ხტომაში — ჟ. რუსო (საფრანგეთი) — 805 სმ და სხვ.

ფინეთის ქალაქში საბჭოთა სპორტსმენების მარცხმა სპეციალისტების ერთგვარი შეშფოთება გამოიწვია. ქვეყნის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ნ. პოლიტიკოს ამის მიზეზად მიაჩნია ის, რომ ნაკლებად ზრუნავენ პერიფერიებში ნიჭიერი მძლეოსნების შერჩევისთვის. ამის გამო ნაკრების ხელმძღვანელობა იძულებულია უკვე მობერებულ სპორტსმენთა იმედზე იყოს. განსაკუთრებით დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ მიმდინარე სეზონში საბჭოთა ათლეტებმა რამდენიმე მარცხი განიცადეს. ეს ღრმა ანალიზსა და მუშაობის გარდაქმნას მოითხოვს, მითუმეტეს, რომ საბჭოთა ქვეყანაში მძლეოსნობას [illegible] მილიონზე მეტი კაცი მისდევს.

გუნდური შედეგები ასეთია: ქალები. გდრ — 114 ქულა, სსრ კავშირი — 93, დიდი ბრიტანეთი — 67, გფრ — 67, პოლონეთი — 57, რუმინეთი — 54, ბულგარეთი — 52, ფინეთი — 35. ვაჟები. გდრ — 123, გფრ — 110, სსრ კავშირი — 99, დიდი ბრიტანეთი — 93, პოლონეთი — 91, ფინეთი — 82, საფრანგეთი — 68, იტალია — 52.

ნ. ვიქტოროვი.

სურათებზე: ზევით — რ. აკერმანი ასპარეზობის დროს; ქვევით — ფ. მელნიკი.

ნიუ იორკი, 16 აგვისტო (საკდესი). საბჭოთა კავშირის ქალთა და აშშ-ის ვაჟთა ნაკრები გუნდების გამარჯვებით დამთავრდა ამ ქვეყნების მრავალჭიდელთა ტრადიციული მატჩი, რომელშიც კანადელი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ. ათჭიდელებში საუკეთესო იყო ამერიკელი ფ. დიქსონი — 8392 ქულა. ევროპის რეკორდსმენმა სტავროპოლელმა ა. გრებენიუკმა II ადგილი დაიკავა — 8114 ქულა. ამერიკელმა ვაჟებმა მოაგროვეს 46725 ქულა, საბჭოთა მძლეოსნებმა — 46234.

ქალთა შეჯიბრებაში ხუთჭიდის პროგრამით სსრ კავშირის რეკორდსმენმა მაკეევკელმა ნ. ტკაჩენკომ 4666 ქულით გაიმარჯვა. ეს მისივე საკავშირო მიღწევას 23 ქულით ჩამოუვარდება. ქალთა გუნდების შეჯიბრებაში საბჭოთა სპორტსმენებმა მეტოქენი საგრძნობლად ჩამოიტოვეს. მათი შედეგია 13263 ქულა. ამერიკელებს (11089 ქულა) კანადელებმაც აჯობეს (11427). აშშ-ს გუნდი შეჯიბრებაში თავისი ლიდერის, თ. ფრედერიკის გარეშე გამოდიოდა.

ახალი ამოცანები

საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში ფიზკულტურისა და სპორტის ფართოდ დანერგვის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების ერთ-ერთი მთავარი პირობა ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის მასობრიობის შემდგომი ზრდაა. ამ ამოცანის გადაჭრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კვალიფიციურ სპეციალისტთა — ფიზიკური აღზრდის პედაგოგთა, მწვრთნელთა, მეთოდისტთა, ინსტრუქტორთა, საორგანიზაციო მუშაკთა და სხვათა მომზადებას. 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისთვის სპორტსმენთა ოსტატობის ამაღლება სპეციალისტებისა და მწვრთნელების მომზადების ხარისხთან არის დაკავშირებული.

ამას წინათ ჩატარებულმა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ ღრმად და ყოველმხრივ განიხილა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებასთან დაკავშირებული საკითხები, დასახა ჩვენი სოციალისტური საზოგადოების განვითარების ამ ეტაპზე ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის თავისებურებათა განმსაზღვრელი კონკრეტული ამოცანები.

ახალი საბჭოთა კონსტიტუციის პროგრამის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებების შესაბამისად მნიშვნელოვნად გაფართოვდა ფიზკულტურასა და სპორტში ჩაბმულთა ასაკობრივი კონტინგენტი. ფართო ხასიათს იღებს „ჯანმრთელობის ჯგუფების“ მუშაობა, უფრო ფართოდ ინერგება ფიზიკური კულტურა საცხოვრებელ ადგილებში, „ჯანმრთელობის ზონებში“ და სხვ.

ასაკობრივი კონტინგენტის გაფართოება აისახა მშდ კომპლექსში, რომელიც 10-დან 60 წლის ადამიანთათვისაა გათვალისწინებული.

ფიზკულტურისა და სპორტის სპეციალისტს უნდა შეეძლოს არა მარტო მეცადინეობის ჩატარება, არამედ საზოგადოებრივი ინსტრუქტორების, ფიზორგების, საზოგადოებრივი მწვრთნელების მუშაობის ორგანიზებაც. საზოგადოებრივ აქტივზე დაყრდნობის გარეშე ძნელია მასობრიობის ჭეშმარიტი ზრდა.

თანამედროვე ადამიანის ყოფა-ცხოვრებაში ფართოდ შეიჭრა მექანიზაცია: შემსუბუქდა შრომის პროცესი, გაიზარდა შრომისნაყოფიერება და აქედან გამომდინარე — დასვენების, კულტურული გართობისთვის განკუთვნილი დრო. მაგრამ, ეს საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა: ფიზიკურმა უმოძრაობამ უარყოფითად იმოქმედა ადამიანის შრომისუნარიანობასა და ჯანმრთელობაზე. დღეს, ჰიპოკინეზიის, ესე იგი მოძრაობის აქტიურობის შეზღუდვის ნიშნები უკვე ბავშვობაში იჩენს თავს. მაგალითად, სკოლამდელი ასაკის ბავშვი ნორმაზე მეტს იწონის და ფიზიკურ განვითარებაში აქვს სხვადასხვა გადახრა.

საგრძნობლად იმატა „დისპეტჩერული ტიპის“ პროფესიებმა (სხვადასხვა ტრანსპორტის მძღოლები, ტელეგრაფისტები და ტელეფონისტები, დისპეტჩერები, სამამრთველოს მუშაკები და სხვ.). ამ პროფესიათა ადამიანთათვის დამახასიათებელია მოძრაობის შეზღუდვა და დიდი ნერვული დაძაბულობა. ამიტომ შესაბამისი პროფილაქტური ზომები თუ არ მივიღეთ, მათ შეიძლება დასჩემდეთ უძილობა, უმადობა, სისხლძარღვთა სისტემის შეგუბებითი მოვლენები და სხვა. ყოველივე ამის თავიდან აცილების ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა სამუშაო დღის განმავლობაში სწორად ორგანიზებული ფიზიკური ვარჯიში, რომელიც უნდა ჩატარდეს არა მარტო სამუშაომდე და მუშაობის დროს, არამედ სამსახურის დამთავრების შემდეგაც. ყოველივე ამას დაუმატეთ დასვენების დღეებში ფიზკულტურასა და სპორტში მეცადინეობა და შეიძლება თავიდან ავიცილოთ ყველა ზემოჩამოთვლილი უარყოფითი მოვლენა.

ნათქვამიდან გამომდინარე, „დისპეტჩერული“ პროფესიის ადამიანებთან ვარჯიშის ჩასატარებლად აუცილებელია ჰიპოკინეზიის თავისებურებათა ცოდნა, ორგანიზმზე ნერვული დაჭიმულობის ზემოქმედება და ა. შ. ყველა ეს საკითხი ან ახლახან არის შესწავლილი, ან მხოლოდ შესწავლის სტადიაშია. ასე რომ, ფიზკულტურული სასწავლო დაწესებულების სტუდენტები დროულად უნდა გაეცნონ ახალ გამოკვლევებს, რაც მათ პრაქტიკულ საქმიანობაში დაეხმარება.

ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობას დიდად აფერხებს ბაზების ნაკლებობა. დიდი მნიშვნელობა აქვს მარტივი ტიპის ბაზების მოწყობას საკუთარი ძალებითა და თანხებით.

მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონე საშუალებას გვაძლევს ამოცანები გადავწყვიტოთ „სისტემატური მიდგომის“ პოზიციიდან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფიზიკური აღზრდა და სპორტული ვარჯიში განიხილება როგორც სხვადასხვა პროცესების ერთობლიობა. აქედან გამომდინარე, მომავალმა სპეციალისტმა უნდა გამოიმუშაოს ცოდნის სინთეზირების უნარი, ეს ცოდნა კი ცალკეულ დისციპლინაზეა აგებული: პედაგოგიკის, ფიზიოლოგიის, ფსიქოლოგიისა და ბიოქიმიის შესწავლის გარეშე შეუძლებელია იმ პროცესებზე ლაპარაკი, რომლებიც ორგანიზმში ფიზიკური ვარჯიშის, სისტემატური წვრთნის შედეგად მიმდინარეობს.

მომავალ სპეციალისტს კარგად უნდა ესმოდეს კიბერნეტიკის კანონების როლი და მნიშვნელობა, გამოიყენოს ისინი პრაქტიკულ საქმიანობაში, რადგან ამ კანონებზეა დამყარებული „უკუკავშირი“ (სხვადასხვა საკონტროლო ვარჯიში). საჭიროა სისტემატურად დავაკვირდეთ წვრთნის დროს ორგანიზმში მომხდარ ცვლილებებს და ანალიზის შედეგად სათანადო შესწორებები შევიტანოთ წვრთნის მეთოდიკაში. დიდი მნიშვნელობა აქვს „სწრაფი ინფორმაციის“ საშუალებებს, რომლებიც აუცილებელ ცნობებს გვაწვდიან ვარჯიშის დროს სხეულში მიმდინარე ფიზიოლოგიური ცვლილებების შესახებ.

ყველა დასახელებული საკითხი გათვალისწინებულია ჩვენი ინსტიტუტების სასწავლო პროგრამაში. ინსტიტუტის კედლებში სტუდენტები იღებენ აუცილებელ ცოდნას მათემატიკური სტატისტიკისა და მანქანების შესახებ. უფრო ძნელია გამომთვლელი მანქანებისთვის პროგრამის შედგენა.

ინსტიტუტში გამოყოფილია საათები თეორიულ დისციპლინათა პედაგოგების სპეციალიზაციისთვის. აქ საკითხები განიხილება სპორტის ამა თუ იმ სახეობასთან დაკავშირებით, მაგალითად, მოცურავის ფსიქოლოგიური მომზადების თავისებურებანი, ცურვის ფიზიოლოგია და ა. შ. წინათ სპეციალისტისთვის საკმარისი იყო იმისი ცოდნა, რომ დოზირებული დატვირთვისას ნავარჯიშები ადამიანის პულსის რეაქცია ბევრად ნაკლებია, ვიდრე ნაკლებ ნავარჯიშებისა. დღეისთვის პულსის სიხშირის მაჩვენებელი „ოპერატიული მაჩვენებელია“ — ესე იგი პულსის სიხშირის მიხედვით მიიღება ოპერატიული ზომები.

საწვრთნელი დატვირთვა იმდენად გაიზარდა, რომ ვარჯიშის შემდეგ საჭიროა „რეაბილიტაცია“, რაც ღონისძიებათა მთელ ციკლს გულისხმობს, მათ შორის სწორად ორგანიზებულ დასვენებასა და კვების რეჟიმს. აუცილებლობის შემთხვევაში საჭიროა ვიტამინებისა და გასუფთავებული საკვები ნივთიერებების მიღება, სხვადასხვა პროცედურები, ჰიდრო- და ვიბრომასაჟების ჩატარება, შხაპისა და აბაზანების მიღება, და ისევ ფიზიკური ვარჯიში. მხოლოდ ამ საშუალებებით შეიძლება შევუწყოთ ხელი ორგანიზმის აღდგენით პროცესებს. და პირიქით, მათ გარეშე ადამიანი ფიზიკურად და ფსიქიკურად იღლება.

ინსტიტუტში ორი წელია მუშაობს საცდელ-საჩვენებელი ცენტრი. იგი სტუდენტებისთვის არის განკუთვნილი.

დაბოლოს, სპეციალისტთა უმრავლესობამ ფიზკულტურის ინსტიტუტი 10-30 წლის წინათ დაამთავრა. ცხადია, მათი ცოდნა საკმარისი არ არის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ამოცანათა გადასაჭრელად. სწორედ ამიტომ დგას ასე მწვავედ მწვრთნელების, ფიზაღზრდის პედაგოგებისა და საორგანიზაციო მუშაკების ხელახალი მომზადების პრობლემა.

დოცენტი ა. მელია,
საქართველოს ფიზკულტურის
ინსტიტუტის რექტორი.

უთავკაცო ორგანიზაცია და ჩაშლილი მუშაობა

ნახვას უნახაობა სჯობდა

შესაფერი კანდიდატურა ვერ შეარჩიეს

ვერ ვიტყვით, რომ ზნაურის რაიონის ახალგაზრდებს ფიზკულტურა და სპორტი არ უყვარდეთ. პირიქით, უყვართ და მდიდარი ტრადიციებიც აქვთ. განსაკუთრებით ჭიდაობა და ფეხბურთი იტაცებთ. რამდენიმე ზნაურელმა მოჭიდავემ საქვეყნოდაც გაითქვა სახელი, ს. გაბარაევსა და ა. ბესტაევს ხომ თავის დროზე საბჭოთა კავშირშიც არ ჰყავდათ ბადალი, მაგრამ მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა.

ადრე რესპუბლიკაში გამეფებულმა მავნე ატმოსფერომ, როცა სინამდვილეს მიწერებითა და ყალბისმქნელობით ალამაზებდნენ, ჩამორჩენას მალავდნენ, ნაკლოვანებების გამოსწორებისთვის არ ზრუნავდნენ, ზნაურის ფიზკულტურასა და სპორტსაც თავისი კვალი დააჩნია.

მერე, როცა საქართველოში ნეგატივიზმს მკაცრი ბრძოლა გამოუცხადეს, ზნაურიდან კვლავ მოითხოვეს ნიჭიერი ახალგაზრდები. საქართველოს სპორტკომიტეტის ბრიგადამ ზნაურელთა საქმიანობაში შექმნილი სავალალო მდგომარეობა ამხილა, რისთვისაც ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ფ. გაბარაევი შარშან თანამდებობიდან გაანთავისუფლეს. ეს არასპეციალისტი ამ ადგილზე 6 წელიწადს მუშაობდა, უფრო სწორად, ხელფასს იღებდა, რაიონში მასობრივ-გამაჯანსაღებელი და ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის ამაღლებისთვის კი არაფერს აკეთებდა, ამისი არც ნიჭი ჰქონდა, არც სურვილი.

მოსალოდნელი იყო, რომ ზნაურის რაიონის ხელმძღვანელობა გულისხმიერად მოეკიდებოდა პარტიის საოლქო კომიტეტის მითითებას და საქართველოს სპორტკომიტეტის წინადადებას, რომ რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარედ უფრო მეყაითი, გამრჯე, ამ საქმის სპეციალისტი შეერჩიათ.

სამწუხაროდ, მოლოდინი არ გამართლდა. ერთი წლის შემდეგ ზნაურს ისევ ვეწვიეთ და ისევ სავალალო ფაქტების მოწმენი გავხდით. პარტიის რაიკომის მდივანი ფ. ჯიოევი და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ჯიოევი ადგილზე ვერ ვნახეთ, რომ შემოწმების შედეგებზე გვესაუბრა. სამაგიეროდ, კომკავშირის რაიკომის მდივანი ო. ფილიევი ადგილზე დაგვხვდა. შექმნილი მდგომარეობის გამო ისიც სინანულს გამოთქვამდა, ხსნის გზას კი ვერსად ხედავდა.

ო. ფილიევს არ უთქვამს, მაგრამ საუბარში აშკარად იგრძნობოდა, რომ კადრების შერჩევაში მთავარ როლს პარტიის რაიკომი და რაიაღმასკომი ასრულებენ. ეს სწორია. მაგრამ კომკავშირის რაიკომს რომ მეტი მონდომება და პრინციპულობა გამოეჩინა, ზნაურელი ახალგაზრდები ექვს თვეს ფიზკულტურული მუშაობის თავკაცის გარეშე არ იქნებოდნენ.

როცა პარტიის ზნაურის რაიკომი ფ. გაბარაევის შემცვლელ კანდიდატს ეძებდა, არჩევანი ა. თიბილოვზე შეაჩერა. იგი, დროებით უმუშევარი, განათლებით ზოოტექნიკოსი გახლდათ, რომელსაც ფიზკულტურა და სპორტი იქნებ მართლაც უყვარდა, მაგრამ საქმიანობის გაძღოლის, კოლექტივების ამოქმედების, სპორტღონისძიებათა გამართვის, ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმების შესრულებისთვის ბრძოლის უნარი აშკარად არ აღმოაჩნდა.

თიბილოვმა ამ თანამდებობაზე ოთხ თვეს დაჰყო, მაგრამ როგორც თვითონ ზნაურელებმა გვითხრეს, როცა რაღაც ისწავლა, სამუშაოდ რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოში გადაიყვანეს. ფიზკულტურის კომიტეტი უთავკაცოდ დარჩა.

ნოემბერში ეს საქმე ქალეთის სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელს ი. გაგიევს დაევალა. იგი თებერვლამდე მუშაობდა, რამდენიმე ღონისძიებაც ჩაატარა, მაგრამ შეთავსებით მუშაობის ნება აღარ მისცეს და მანაც ისევ სკოლაში დარჩენა ამჯობინა.

მას შემდეგ ზნაურის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს „ეძებენ“, შესაფერი კანდიდატურა კი ვერსად „აღმოაჩინეს“.

რაკი სიტყვა კადრებზე, სპეციალისტებზე ჩამოვარდა, ბარემ ვიტყვით, რომ „კოლმეურნის“ რაისაბჭოსაც შვიდი თვეა არასპეციალისტი ზ. გობოზოვი ხელმძღვანელობს...

ზნაურის რაიონში 19 საშუალო და რვაწლიანი სკოლა, ათობით საბჭოთა მეურნეობა და კოლმეურნეობაა (სხვა პატარა ფიზკულტურულ კოლექტივებზე აღარას ვამბობთ), მაგრამ მასობრივ-გამაჯანსაღებელი და ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობა სანიმუშოდ არსად არ დგას. რაიონული ცენტრის ოსურ საშუალო სკოლას (დირექტორი ს. გაგლოევი, ფიზაღზრდის მასწავლებელი გ. გაბარაევი), რომლის შენობაც საექსპლოატაციოდ სამი წლის წინათ გადაეცა, არავითარი ღია სპორტული ნაგებობა არ გააჩნია. ამ მხრივ ქართულ საშუალო სკოლაში (ც. გუჩმაზოვა, შ. იანტბელიძე) უკეთესი მდგომარეობაა — სკოლის ეზოშია კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, ღერძი, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომის ორმო, მაგრამ არც მინდორი ვარგა, არც სახტომი ორმო — ყველა კაპიტალურ რემონტს მოითხოვს.

თერეგვანის სკოლასაც ვესტუმრეთ. მისი რეკონსტრუქცია შარშანწინ დაუმთავრებიათ, ღია სპორტული ბაზების მოწყობა კი არც მშენებლებს მოჰგონებიათ, არც სკოლის დირექციას, თუმცა ეზოში იპოდრომის აგებაც შეიძლება.

რაიონში ოთხი ისეთი საბჭოთა მეურნეობაა, რომელთაც მუშა-მოსამსახურეთა სიმრავლის მიხედვით გამაჯანსაღებელი მუშაობის გაშლისთვის ფიზკულტურის მეთოდისტის შტატი ეკუთვნით, მაგრამ არც ზნაურის (დირექტორი ა. აბაევი), არც ბეყმის (მ. იკაევი), ველების (ე. ქოქოევი) და ბალთის მეურნეობებში ამ საკითხის მოგვარებისთვის არავინ ირჯება.

რაიონში ერთ-ერთი დიდი ორგანიზაციაა ავნევის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე გ. მაისურაძე). მშრომელთა შორის ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის გაშლისთვის კი ძალიან ცოტა რამ კეთდება. ახალგაზრდებს ფეხბურთის მინდვრის მოსაწყობად ადგილი ჭაობში გამოუყვეს. ძელები ხან იქით გადააქვთ, ხან აქეთ, მაგრამ ფეხბურთის სათამაშოდ შედარებით მშრალ ადგილს ვერსად მიაგნეს. სოფელში განსაკუთრებით ჭიდაობა უყვართ. კარგი ტრადიციაც აქვთ და თითქოს არც ხელშეწყობა აკლიათ, ოღონდ ჩოხების შოვნას ვერსად ახერხებენ (ეს ნაკლი რატომღაც რესპუბლიკაში საგრძნობი გახდა).

სოფელი ახალშენი რაიონული ცენტრიდან 3 კილომეტრითაა დაშორებული. იგი თერეგვანის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ა. გუბიევი) შედის. ახალშენელებს ფეხბურთის მინდორი ჰქონდათ, მაგრამ მოსახლეობამ შეავიწროვა. მაშინ სპორტის მოყვარულები მდინარე ფრონეს გაღმა გავიდნენ. საკუთარი ძალებით რიყეზე მოედანი გამართეს, რომელიც საქსოფლტექნიკის რაიონულმა განყოფილებამ მიითვისა — ტექნიკის დასაწყობად გამოიყენა.

იმის დასტურად, რომ ზნაურის რაიონში ფიზკულტურა და სპორტი მივიწყებულია, კიდევ ერთი მაგალითი უნდა მოვიყვანოთ. რაიონული ცენტრის ფეხბურთის მინდორი, საჭიდაო სარბიელიც, ეკალბარდს დაუფარავს და შინაურ ცხოველ-ფრინველთა სათარეშოდ გადაქცეულა.

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ, რომელმაც რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტული და მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესების გზებზე იმსჯელა, სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ყველას, ვინც მშრომელთა და მოსწავლე-ახალგაზრდობის გაჯანსაღებას, სპორტში დაოსტატებას გულგრილად ეკიდება. ურიგო არ იქნება თუ ზნაურის რაიონის პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელები აქტივის მასალებს გულდასმით შეისწავლიან და მუშაობას შესაბამისად გარდაქმნიან.

ო. გელაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

სურათებზე: ზნაურელთა საჭიდაო (მარცხნივ) და გასახდელი, რომელიც ეკალ-ბარდმა დაფარა.

ავტორის ფოტოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოთხე მოგზაურობა ესპანეთში

თბილისიდან 9 აგვისტოს გამგზავრებულნი, მოსკოვსა და ლისაბონში ღამისთევის შემდეგ, მადრიდში 11 აგვისტოს ნაშუადღევს მოვხვდით. აქ საკმაო ხანს მოგვიხდა ლოდინი, ვინაიდან ჩვენი მასპინძლები მხოლოდ საღამოს 7 საათზე გამოჩნდნენ, სახელდახელოდ მოგვიხადეს ბოდიში, მერე ავტობუსში ჩავსხედით და 450-კილომეტრიან გზას გავუდექით ქალაქ ალიკანტემდე. დაღლილ-დაქანცულებმა, ღამის 1 საათზე (ჩვენი დროით ღამის 3 საათზე) ვივახშმეთ. დასაძინებლად დავწექით ფაქტიურად უკვე თამაშის დღეს, ნაშუაღამევს. ასეთმა უჩვეულო რეჟიმმა გუნდის ხელმძღვანელობა და თვით ფეხბურთელები ერთობ რთული ამოცანის წინაშე დააყენა: საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობა გადაღლილი სპორტსმენისთვის ძალზე ძნელი საქმეა.

თბილისის „დინამო“ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მასაღებად მეოთხედ იყო მიწვეული ესპანეთში. ჩვენს გარდა ალიკანტეში გამოდიოდნენ ინგლისის „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“, ბელგიის „ბევერენი“ და ესპანეთის „ერკულესი“.

ჩვენს წინაშე წამოჭრილ სიძნელეებს დაემატა ისიც, რომ პირველად თამაშში მოგვიწია ინგლისის ძლიერ გუნდთან. ამგვარ ტურნირებში სწორედ პირველ მატჩს აქვს ძალზე დიდი მნიშვნელობა, ვინაიდან მისი მოგების შემთხვევაში, როგორც მინიმუმი, [illegible] გაქვს II ადგილი.

უნდა ითქვას, რომ მასპინძლებმა შესანიშნავი სტუმართმოყვარეობა გამოიჩინეს, კარგი პირობები შეგვიქმნეს, მაგრამ ჩვენს დაღლილობასა და აკლიმატიზაციის სირთულეებს ამან დიდად ვერ უშველა. ყველაფერ ამის ანაზღაურება ერთ დღეში შეუძლებელი საქმეა.

ქალაქი ალიკანტე, სადაც მიმდინარეობდა ტურნირი, პირინეის ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს. აქ სუბტროპიკული ჰავაა, ვეებერთელა პალმებში ჩაძირული ზღვის სანაპირო შესანიშნავი სანახავია. თვით ქალაქიც ბაღშია ჩაფლული. ადგილობრივ მოსახლეობას ძალიან უყვარს ფეხბურთი და ხალისით ესწრება მატჩებს, მით უმეტეს, როცა საქმე ეხება საერთაშორისო ტურნირებს. თბილისის „დინამოს“ ესპანეთში და კერძოდ, ალიკანტეში კარგად იცნობენ ადრინდელი გამოსვლებით, ამიტომ ბუნებრივი იყო ის ყურადღება, რასაც პრესა იჩენდა ჩვენს მიმართ.

ეს ტურნირი ალიკანტეს ცხოვრებაში ნამდვილი ზეიმი გამოდგა. მისი ორგანიზაცია ქალაქის ხელმძღვანელობას დაევალა და ამიტომ საზეიმო ცერემონიალიც სწორედ ქალაქის მერთან მოეწყო, სადაც გულთბილად მიიღეს ტურნირში მონაწილე გუნდების წარმომადგენლები.

საზეიმო საღამო დაიწყო მისალმებებით და სიტყვების გაცვლა-გამოცვლით, მაგრამ გამოირკვა, რომ ინგლისელებსა და ბელგიელებს თარჯიმანი არა ჰყოლიათ. უცხო ენების მცოდნე არც მერიაში აღმოჩნდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ზეიმს ეკარგებოდა ყოველგვარი ელფერი და შინაარსი. მდგომარეობა თითქოს გამოუვალი იყო, მაგრამ აქ მოხდა ისეთი რამ, რამაც აღტაცებაში მოიყვანა მრავალრიცხოვანი დამსწრეები. ჩვენი დელეგაციის თარჯიმანმა ვანო ცაგარეიშვილმა ითავა ფრანგულად მოლაპარაკე ბელგიელთა სიტყვების ესპანურად თარგმნა, ესპანელთა მისალმებებისა კი ინგლისურად. ასე რომ, საზეიმო მიღების მთელი ეს რთული პროცესი ჩვენს თარჯიმანს მიჰყავდა ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ და ქართულ ენებზე. ქალაქის მერმა საგანგებოდ აღიარა ცერემონიალის გმირად ვანო ცაგარეიშვილი.

მატჩი დანიშნული იყო 22 საათსა და 30 წუთზე, ე. ი. თბილისის დროით ღამის პირველის ნახევარზე. ჩვენი მეტოქე ინგლისის ერთ-ერთი საუკეთესო პროფესიული კლუბი „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ 1957 წელს იყო თბილისში. მახსოვს მაშინ მან შესანიშნავი ფეხბურთი გვიჩვენა და გაიმარჯვა კიდეც ანგარიშით 3:0. მაშინდელ ინგლისელ ფეხბურთელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ცენტრალური თავდამსხმელი კევანი.

ჩვენმა ბიჭებმა არად ჩააგდეს დაღლილობა, ითამაშეს აზარტულად, ლამაზად, მაღალტექნიკურად. ესპანელი მაყურებლები მათ გამამხნევებელი შეძახილებით უჭერდნენ მხარს. დინამოელებმა ვერ გამოიყენეს რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი. 75-ე წუთზე კი თბილისელი მცველები კარის სიახლოვეს უხეშად შეცდნენ — 0:1.

მართალია, მატჩი წავაგეთ, მაგრამ დინამოელებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. აი რამდენიმე ადგილი ადგილობრივი გაზეთების რეცენზიებიდან:

„არნახული უიღბლობა, დრამატიზმი... ინგლისელებს არავითარი იმედი არ ჰქონდათ ბურთის გატანისა, მაგრამ მოხდა ის, რაც იშვიათად ხდება ხოლმე ფეხბურთში: უტევს ერთი, იმარჯვებს მეორე“.

„მეკარის არნახულმა თამაშმა იხსნა ინგლისელები დიდი მარცხისგან“.

მომყავს „ვესტ ბრომვიჩ ალბიონის“ მწვრთნელის სიტყვებიც:

„ჩვენმა ბიჭებმა ბევრი უნდა ისწავლონ „დინამოსგან“. მატჩის მსვლელობაში ვფიქრობდი, არ წაგვეგო დიდი ანგარიშით, მაგრამ მოხდა ის, რაც იშვიათად ხდება. მადლობა ღმერთს!“

ტურნირის პირველ დღეს ესპანეთის „ერკულესმა“ დაამარცხა ბელგიის „ბევერენი“ — 3:1.

თამაშის მეორე დღეს სასტუმროში, სადილის დროს გვეწვივნენ ესპანეთის ფეხბურთის მესვეურნი და „ვესტ ბრომვიჩ ალბიონის“ მწვრთნელები, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს „დინამოს“ უფროს მწვრთნელს ნ. ახალკაცს თბილისელთა კარგი თამაშისთვის.

შემდეგი შეხვედრა გვქონდა ბელგიის „ბევერენთან“, და, უნდა ითქვას, მაყურებელი უკვე გარკვეული სიმპათიებით გამსჭვალული მოვიდა ჩვენი გუნდის თამაშის სანახავად. აი, რას წერდა გაზეთი „ინფორმასიონი“ 14 აგვისტოს ნომერში:

„თუ თბილისის „დინამომ“ ინგლისელებთან კარგი თამაში გვაჩვენა, მაგრამ იღბალი არ სწყალობდა, ბელგიელებთან მატჩში კანონიერებამ იზეიმა და გამარჯვებაც ღირსეულს ხვდა, თუმცა თბილისელებმა მრავალი კარგი მომენტი გაუშვეს ხელიდან“.

„ბევერენი“ დიდი ბრძოლისუნარიანობით და შემართებით გამოირჩეოდა, ცდილობდა თავს მოეხვია ჩვენთვის თავისი თამაშის ტაქტიკა, მაგრამ როცა ვერას გახდა, გუნდი მთლიანად დაცვაზე გადავიდა. როგორც ერთ-ერთი რეცენზენტი აღნიშნავდა: „დინამოელები გამუდმებით უტევდნენ და ბელგიელებს მხოლოდ ისღა დარჩენოდათ კბილებით და ფრჩხილებით დაეცვათ თავი. საცოდავი და უმწეო იყო მეკარე მ. მაჩაიძის წინააღმდეგ, ასევე უმწეო იყო მცველი ვან ჰაარდი გუცაევის წინააღმდეგ“. იგივე რეცენზენტი თავის სტატიას ასე ამთავრებს: „...როცა ბელგიელებმა ყოველგვარი იმედი დაკარგეს, უძლურების ნიშნად თეთრი ბაირაღი აღმართეს“. თამაში დამთავრდა თბილისის „დინამოს“ გამარჯვებით ანგარიშით 4:1. ბურთები გაიტანეს გუცაევმა, ჩელებაძემ, დარასელიამ და ხიზანიშვილმა.

ტურნირის მესამე დღეს შედგა მატჩი I ადგილისთვის „ვესტ ბრომვიჩ ალბიონსა“ და „ერკულესს“ შორის. ესპანელებმა გაიმარჯვეს და პრიზსაც დაეუფლნენ. მაგრამ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ მოწმე გავხდით არა საინტერესო მატჩის, არამედ მსაჯის არნახული თვითნებობისა. არაობიექტური მსაჯობის მრავალი შემთხვევა მინახავს და ბევრიც მსმენია, მაგრამ ასეთი კი არა. ინგლისელებმა დიდი უპირატესობით დაიწყეს თამაში, ყველა მოელოდა გოლს მასპინძელთა კარში, მაგრამ საკმარისი გახდა მოკლე კონტრიერიში და მსაჯმა ინგლისელთა მხარეს პენალტი დანიშნა. რამდენიმე წუთის შემდეგ გამეორდა იგივე ამბავი, დაინიშნა მეორე პენალტი. საკმარისი იყო ინგლისელებს გაექვითათ ერთი გოლი და მსაჯმა მათ კარში მესამე პენალტი დანიშნა (?!). მართალი გითხრათ, გაუგებრობისა და აღშფოთების გრძნობამ შეგვიპყრო. ამას გარდა, მსაჯს დაურიდებელი ტერორის ქვეშ ჰყავდა ინგლისელი ფეხბურთელები, ერთი მათგანი გააძევა მინდვრიდან და რვას ყვითელი ბარათი უჩვენა. ეს იყო არბიტრის თვითნებობის დაუფარავი დემონსტრაცია, რომელმაც მატჩს დაუკარგა ყოველგვარი სპორტული ხასიათი. „ერკულესმა“ გაიმარჯვა ანგარიშით 5:1 და პირველ პრიზსაც დაეუფლა. ჩვენ III ადგილზე გავედით და შინ წამოვიღეთ ლამაზად გაფორმებული თასი.

ტურნირის დამთავრების შემდეგ თბილისის „დინამოს“ დელეგაციის ხელმძღვანელებთან ოფიციალურად მოვიდნენ ესპანეთის ფეხბურთის მესვეურნი, მადლობა გადაგვიხადეს კარგი თამაშისთვის და გვთხოვეს, საგაისოდ დრო გამოვნახოთ და მონაწილეობა მივიღოთ არა ერთ, არამედ ორ საერთაშორისო ტურნირში.

ზ. თელია,
თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.



იაროსლავლის ახალი სპორტული ნაგებობის — ველოდრომის — ძირითადი დეტალია 333 მ სიგრძის ბეტონის ველოტრეკი, სადაც შეიძლება ჩატარდეს ყველა რანგის შეჯიბრება. საქდესის ფოტოქრონიკა.

ფეხბურთი '77

პირველი ლიგა
გათამაშების ცხრილი
მდგომარეობა 17 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ფახტაქორი“	22	11	9	2	33—14	31
„დინამო“ მნ.	22	12	6	4	28—12	30
„სპარტაკი“ მ.	22	12	5	5	46—30	29
„კუზბასი“	22	13	2	7	36—23	28
„თერგი“	22	10	6	6	40—25	26
„ტავრია“	22	10	6	6	28—17	26
„ნისტრუ“	22	8	10	4	26—22	26
„ურალმაში“	22	10	5	7	33—31	25
„შინიკი“	22	7	10	5	29—23	24
„პამირი“	21	11	1	9	31—23	23
ასკ როსტ.	22	6	8	8	23—25	20
„სპარტ.“ ორ.	22	7	5	10	20—30	19
„ტორპედო“	22	7	5	10	20—30	19
„დინამო“ ლ.	21	5	8	8	25—32	18
„მეტალურგი“	22	5	8	9	14—23	18
„სპარტ.“ ი.-ფ.	22	4	9	9	20—30	17
„კრივბასი“	22	6	4	12	25—35	16
„რუბინი“	22	5	6	11	21—38	16
„კოლხოზჩი“	22	6	4	12	22—41	16
„ზვეზდა“	22	2	7	13	16—36	11

●

ტურნირი გრძელდება

გუშინ თბილისის სპორტულ ბაზებზე გრძელდებოდა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ სპეციალიზებული სკოლების საკავშირო ტურნირი მოსკოვის, კიევის, მინსკისა და თბილისის ნორჩ ფეხბურთელთა შორის.

დილით ერთმანეთს შეხვდნენ მინსკისა და კიევის გუნდები. მინსკელებმა კვლავ კარგად ჩაატარეს მატჩი და მიმდინარე ტურნირში მეორე გამარჯვება მოიპოვეს — 2:0.

საღამოს ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე თამაშობდნენ თბილისისა და მოსკოვის თანაკლუბელები. გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 2:0.

●

ამხანაგური მატჩი

მოსკოვი. აქ გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. ადგილობრივმა „ლოკომოტივმა“ მიიღო გვინეის ქალაქ კონაკრის „აფია“ და გაიმარჯვა ანგარიშით 4:0.

არდადეგები დამთავრდა

ევროპაში დასასრულს მიუახლოვდა ფეხბურთელთა ზაფხულის არდადეგები. რამდენიმე ქვეყანაში დაიწყო ეროვნული ჩემპიონატები.

სტარტი აიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონატმა. შარშანდელმა გამარჯვებულმა — დრეზდენის „დინამომ“. პირველივე მატჩში 2 ქულა მოიპოვა „ვისმუტთან“ — 4:1. ჩემპიონატის განახლების წინ დასახელებული იქნა გდრ-ის წინა სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი, დრეზდენის „დინამოს“ მცველი და კაპიტანი ჰანს-იურგენ დერნერი.

საუკეთესო ფეხბურთელი დაასახელეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაშიც. ესაა „ბაიერნისა“ და ნაკრების მეკარე ზეპ მაიერი. მან გფრ-ის პირველობაზე საუკეთესოდ ითამაშა II ტურში, სადაც მისმა გუნდმა გაიმარჯვა — 4:2. ამ მატჩში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ცნობილმა ბომბარდირმა გერდ მიულერმა, რომელმაც ყველა 4 ბურთი გაიტანა.

კიევის დინამოელთა მეტოქემ უეფა-ს თასის მომავალ გათამაშებაში — ბრაუნშვაიგის „აინტრახტმა“ II ტურში თავის მინდორზე დაამარცხა „შტუტგარტი“ — 3:1. გოლები გაიტანეს დრემლერმა, ერლერმა და ფრანკემ.

არდადეგები დამთავრდა ნაკრები გუნდებისთვისაც, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში მონაწილეობენ. ირანის ნაკრებმა მელბურნში ანგარიშით 1:0 დაამარცხა ავსტრალიის გუნდი და 3 მატჩის მერე 5 ქულით რეალური პრეტენზია აქვს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მოხვედრაზე აზიის, ავსტრალიისა და ოკეანიის ქვეყნების ზონიდან.

ჩეხოსლოვაკიისა და რუმინეთის ნაკრებმა გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს მაროკოს ტრადიციულ ტურნირში, სადაც ფინალურ მატჩში შეხვდნენ ერთმანეთს ანგარიშით 3:1 გაიმარჯვეს ჩეხოსლოვაკიელმა ფეხბურთელებმა.

ედსტრიომი ბრუნდება შვეციაში

ცნობილი შვედი ფორვარდი რ. ედსტრიომი, რომელიც რამდენიმე წლის მანძილზე დიდი წარმატებით თამაშობდა ჰოლანდიის „ეინდჰოვენში“, ახლა სამშობლოში ბრუნდება. იგი ითამაშებს იფკ-ში (გეტებორგი). ჰოლანდიაში გადასვლამდე ედსტრიომი თამაშობდა „ატვიდაბერგში“, სადაც მის გარდა გამოდიოდნენ ცნობილი თავდამსხმელები სანდბერგი და ტორსტენსენი.

1271 გოლი

როგორც ზავრების გაზეთი „სპორტსკე ნოვოსტი“ იუწყება, პელეს დღემდე ნათამაშევი აქვს 1341 მატჩი, სადაც 1271 ბურთი გაიტანა. თავისი უკანასკნელი გუნდის — „კოსმოსის“ შემადგენლობაში ბრაზილიელმა 83 მატჩი გამართა და 54 ბურთი გაიტანა.

როგორც ცნობილია, ოქტომბერში პელე საბოლოოდ ეთხოვება ფეხბურთს.

ძველი რეკორდი

უკვე 30 წელია ვერ ხსნიან ევროპის რეკორდს ერთ მატჩში მაყურებელთა დასწრების მიხედვით. ეს მატჩი შედგა გლაზგოს „ჰემპდენ პარკზე“ შოტლანდიისა და ინგლისის ნაკრებ გუნდებს შორის. მას ესწრებოდა 149.544 მაყურებელი.



ბაევიჩი — აეკ-ში

იუგოსლავიის ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი ბაევიჩი ამიერიდან ათენის აეკ-ში ითამაშებს პოპულარულ პაპაიოანუს გვერდით.

ბაევიჩის საბერძნეთში წასვლა სპეციალისტებს იუგოსლავიის ნაკრების დიდ დანაკლისად მიაჩნიათ. იგი მაღალი შედეგიანობით გამოირჩევა და ნაკრების სნაიპერი იყო.

„კოსმოსის“ სტადიონი

ნიუ იორკის „კოსმოსს“, რომელიც უმდიდრესი კლუბია ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამ ბოლო ხანებამდე არ ჰქონდა საკუთარი სტადიონი. პელეს, ბეკენბაუერისა და კინალიას გუნდი გამოდიოდა ქალაქის სხვადასხვა მინდვრებზე, ახლა კი კლუბმა დიდი სტადიონი ააშენა ნიუ იორკის გარეუბან ნიუ-ჯერსიში, რომელიც 76.800 მაყურებელს იტევს.

„მეგობრობის“ მეთერთმეტე...

სოფიაში, ვ. ლევსკის სახელობის სტადიონზე სამ დღეს გაგრძელდა სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდა მძლეოსნთა XI საერთაშორისო შეჯიბრება, რომელიც „მეგობრობის“ სახელით არის ცნობილი.

ასპარეზობაში 16 წლამდე გოგონები და 17 წლამდე ბიჭები ცდილნენ ძალას. სარბიელზე საბჭოთა კავშირის, ბულგარეთის, გდრ-ის, რუმინეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის და სხვათა სპორტსმენები გამოვიდნენ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში აშკარა იყო გდრ-ის სპორტსმენთა უპირატესობა. მათ 15 ოქროს მედალი მოიპოვეს (სულ 36 მედალი). ბულგარელებს წილად ხვდათ 9 ოქროს (სულ 19), ხოლო საბჭოთა სპორტსმენებს — 5 ოქროს, 17 ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები.

გამარჯვებული გუნდიდან გოგონათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მ. ოპიცის წარმატება ბადროს ტყორცნაში — 55 მ. მან 8,40 მეტრით ჩამორჩა მოსკოველი ტ. ივანოვა, რომელიც III ადგილზე გავიდა. გერმანელებმა დიდი უპირატესობით მოიგეს გოგონების ორივე (4×100 და 4×400 მეტრზე) ესტაფეტა.

საბჭოთა სპორტსმენთაგან ოქროს მედლები ხვდათ ტალინელ ს. ოიას — 100 მეტრზე თარჯრბენში (13;68), კიშინიოველ ლ. დავიდოვას — სიგრძეზე ხტომაში (6,19), ვოროშილოვგრადელ ტ. შჩერბანოვს — ბირთვის კვრაში — (15,61), მოსკოველ ა. კოზლოვს — სიგრძეზე ხტომაში (7,55) და კიეველ ქ. ლაკტიონოვს — 5000 მეტრზე ასპარეზობაში (14.39,4). აღსანიშნავია, რომ 5000 მეტრზე რბენა ერთადერთი სახეობა იყო, რომელშიც II და III ადგილებიც საბჭოთა მძლეოსნებმა ტომსკელმა ე. ოკოროკოვმა და ხარკოველმა ნ. თაროვსკიმ მოიპოვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული ბაზების მშენებლობა — № 1 პრობლემა

ჯანსაღი ცვლისთვის

მუშათა კლასის ჯანსაღი მომავალი ცვლის აღზრდისთვის „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური და რესპუბლიკური საბჭოები მუდამ მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებენ. უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სპორტული ბაზების ქსელის გაფართოებას. ქვეყნის მასშტაბით მრავალი დარბაზი, აუზი და სტადიონი აიგო, მაგრამ არც სპორტის ზამთრის სახეობების მოყვარულნი არიან მივიწყებულნი.

„შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭო პროფტექნიკური განათლების სისტემის ორგანიზაციებისთვის ბაკურიანში აგებს სამთო-სათხილამურო ბაზას, რომლის პროექტის ავტორია შ. ქლიბაძე. მშენებლობას საქართველოს მშენებლობის სამინისტროს № 3 სამმართველოს მე-9 ტრესტი აწარმოებს.

საქმიანობა შარშან გაზაფხულზე დაიწყო. ამ დღეებში ვინახულეთ ბაზის სამუშაოთა მწარმოებელი დ. სარალიძე, რომელმაც გვიამბო, რომ ბაზა სამი ძირითადი კორპუსისგან შედგება. აქ აიგება 230-ადგილიანი საძილე კორპუსი, სპორტული კორპუსი, რომელსაც დახურული საცურაო აუზი და ტანვარჯიშული დარბაზი ექნება. აშენდება, აგრეთვე, კლუბი 200 მაყურებლისთვის, მოეწყობა მეთოდური ცენტრი. „შრომითი რეზერვების“ სპორტულ კომპლექსში შედის 50 და 90-მეტრიანი ტრამპლინები.

დღეისთვის უკვე დამთავრდა სატრანსფორმატორო ჯიხურის აგება, სადრენაჟო სამუშაოების 90 პროცენტი შესრულებულია, ჩაყრილია საძილე კორპუსის საძირკველი. სულ მშენებლობაზე სამ მილიონამდე მანეთი დაიხარჯება.

ა. გაგელაია.

* * *



ს უ რ ა თ ზ ე: ბაკურიანში „შრომითი რეზერვების“ სპორტული ბაზის მშენებლობის მაკეტი.

სპეციალური პრიზი — აბესაძეს

ტირასპოლი, 15 აგვისტო (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). მოლდავეთის ამ ქალაქში 10 დღეს გაგრძელდა სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სპორტსკოლების პირველობა ხელბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ 1961-62 წლებში დაბადებული სპორტსმენები. ასპარეზობაში გამოდიოდნენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის გოგონათა და ჭაბუკთა გუნდები. საქართველოს სპორტულ ღირსებას იცავდა თბილისის განათლების განყოფილების ხელბურთის სპეციალიზებული სკოლის (დირექტორი ჯ. ცერცვაძე) გუნდი. გოგონები მოხვდნენ ქვეჯგუფში, სადაც მათთან ერთად გამოდიოდნენ მოლდავეთის, აზერბაიჯანის, ქ. მოსკოვის, ყირგიზეთის კოლექტივები. ჩვენი ვაჟების მეტოქეები ქვეჯგუფში იყვნენ ბელორუსიის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის, ქ. ლენინგრადის, ყირგიზეთის ხელბურთელები.

კარგად ისპარეზეს ჭაბუკებმა (მწვრთნელი რ. ჯანტურია), რომლებმაც პირველი მატჩის წაგების მიუხედავად (ყაზახეთის გუნდთან — 19:23), შეძლეს დაემარცხებინათ ყირგიზეთის (32:23), აზერბაიჯანის (33:14), ბელორუსიის (25:18), ლენინგრადის (27:25) გუნდები და ფინალში გავიდნენ ყაზახეთის, უკრაინის, რსფსრ-ის, ესტონეთისა და უზბეკეთის კოლექტივებთან ერთად. ფინალში საქართველოს ვაჟთა გუნდმა წააგო უკრაინის (21:29), რსფსრ-ის (22:24) გუნდებთან, მოუგო ესტონეთისა (26:25) და მომავალი სპარტაკიადის მასპინძლებს — უზბეკეთის (24:23) გუნდებს და საბოლოოდ IV ადგილზე გავიდა უკრაინის, უზბეკეთის, ყაზახეთის გუნდების შემდეგ. გოგონებში ადგილები ასე განაწილდა: უკრაინა, ყირგიზეთი, უზბეკეთი. საქართველოს გუნდი მე-13 ადგილზეა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ვაჟთა გუნდის წევრმა დ. აბესაძემ ფინალური თამაშები დაშავებული ხელით ჩაატარა, რისთვისაც მან დაიმსახურა სპეციალური პრიზი სპორტული მამაცობისთვის. აბესაძის ანგარიშზეა 58 ბურთი. მისმა ძმამ ლ. აბესაძემ გაიტანა 50 ბურთი. კარგად ითამაშეს ჭაბუკებმა გ. კახიანმა, გ. კარტოზიამ, მ. მეტრეველმა.

წარმატების საწინდარი

ამ დღეებში მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის პარტიული აქტივის კრებაზე გარდამავალი თასით დაჯილდოვდა ტექნიკური ინვენტარიზაციის ფიზკულტურული კოლექტივი. მან ეს ჯილდო დაიმსახურა აღმასკომის მეორე სპარტაკიადაში გამარჯვებისათვის. II ადგილზე გავიდა შარშანდელი სპარტაკიადის ჩემპიონი — წყალკანალის საწარმოო სამმართველოს ნაკრები, მესამეზე იყო საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს გუნდი.

სპარტაკიადაში 13 სამმართველოსა და ტრესტის გუნდები მონაწილეობდნენ. ისინი ერთმანეთს 10 სახეობაში ეჯიბრებოდნენ. ტექნიკური ინვენტარიზაციის სპორტსმენებმა მხოლოდ მძლეოსნობაში იმარჯვეს, მაგრამ ყველა სახეობაში სცადეს ძალა და საბოლოოდ ყველაზე მცირე საჯარიმო ქულები მიიღეს.

თუ თბილისის აღმასკომის პირველი სპარტაკიადა კომკავშირული და პარტიული კომიტეტების დახმარებით ჩატარდა, ახლა ამ ორგანიზაციების გარდა ღონისძიებას სათავეში ჩაუდგა კოლექტივის ახლად შექმნილი ფიზკულტურული საბჭო, რომელსაც აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ს. რიგვავა უძღვება.

გ. ამირიძე.

თოვლის სამეფოში

როგორია შემდეგი ნაბიჯი?

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შეშფოთება ამჯერად ნაადრევი გამოდგა. XXIII ოლიმპიური თამაშების მოწყობის სურვილი გამოაცხადა სულ ცოტა ხუთმა ქალაქმა. ცუდია მხოლოდ ის, რომ ყველა პრეტენდენტი ბოლოს და ბოლოს ერთი ქვეყნის — ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს გამოხატავს, მაგრამ ასეა თუ ისე სოკ-ს საშუალება მიეცა ჩაებღაუჭოს რომელიმე რეალურ კანდიდატს.

ნიუ-იორკი, ლოს-ანჯელესი, ახალი ორლეანი, ბოსტონი, ჩიკაგო — აი ის ხუთი კანდიდატი, რომელთა შორისაც, წინასწარი მონაცემების თანახმად, უნდა გაჩაღდეს დავა XXIII ოლიმპიადის მოწყობის უფლების მოსაპოვებლად. დასავლეთის მიმომხილველებს ამ სიაში ყველაზე მეტად ნიუ-იორკისა და ლოს-ანჯელესის კანდიდატურები ხიბლავთ.

სამი დანარჩენი კანდიდატის პრეტენზიები, რატომღაც, უპერსპექტივოდ მიაჩნიათ. ამის მიზეზს, ზოგი, სპორტული ბაზების სიმცირეში ხედავს, ზოგი სკეპტიკოსი კი ფიქრობს, რომ აღნიშნულ ქალაქთა მუნიციპალიტეტები თავს ვერ გაართმევენ ფინანსიურ სიძნელეებს (ფედერალური მთავრობის ეკონომიური დახმარება იმთავითვე გამორიცხული იყო).

რა შანსები აქვთ ნიუ-იორკსა და ლოს-ანჯელესს?

ამ ცოტა ხნის წინ ლოს-ანჯელესის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა ჟურნალისტებთან საუბარში ოფიციალურად განაცხადა, რომ „სამმას კორპორაცია“, რომელიც განსვენებული მილიარდერის ჰოვარდ ჰიუზის ოჯახს ეკუთვნის, თავის მიწებზე ააშენებს ოლიმპიურ სოფელს, თუ კი 1984 წლის თამაშები ლოს-ანჯელესში მოეწყობა“. ამ განზრახვის რეალურობა დაამოწმა სამხრეთ კალიფორნიის შტატის ოლიმპიურმა კომიტეტმა. „კორპორაციას, — თქვა მან, განზრახული აქვს ამ მიზნისთვის გაიღოს 25 მილიონი დოლარი. სოფელი აშენდება მარინა-დელ-რეის მიდამოებში“.

— შესაძლოა ეს ყველაფერი მართლაც მოხდეს, მაგრამ მარტო ოლიმპიური სოფელი საკმარისი იქნება ასეთი გრანდიოზული თამაშების ჩასატარებლად? ეკითხებიან ერთმანეთს საქმეში ჩახედული სპეციალისტები და მოჰყავთ საკმაოდ გრძელი სია სპორტული ნაგებობებისა, რომლებიც მთლიან ან ნაწილობრივ რეკონსტრუქციას საჭიროებენ. ახალი ბაზების მშენებლობაზე არც არის ლაპარაკი. ეს ამერიკელი სპეციალისტების აზრით წარმოუდგენელი ფუფუნებაა დღევანდელ რთულ ეკონომიკურ პირობებში. მაგრამ რეკონსტრუქციასაც საკმაოდ დიდი ხარჯები სჭირდება, არა და არავინ ამბობს თუ ვინ უნდა გაიღოს ეს თანხები.

ახლა მეორე კანდიდატის შანსებზე. ამას წინათ გაზეთმა „ნიუ-იორკ დეილი ნიუსმა“ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა მოაწყო, რომლის თანახმადაც ქალაქის მოსახლეობის 79-მა პროცენტმა მხარი დაუჭირა ნიუ-იორკში 1984 წლის ოლიმპიური თამაშების ჩატარების იდეას. ადგილობრივმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ამ მხარდაჭერით დიდი კოზირი იგდო ხელთ.

ალბათ ეს იყო იმის მიზეზი, რომ ბოლო სამი თვის განმავლობაში ნიუ-იორკის ხელისუფლებამ აქტიური ოლიმპიური პროპაგანდა წამოიწყო. ქალაქის ხელმძღვანელები პირდაპირ აცხადებენ, რომ ნიუ-იორკში ყველა პირობაა ოლიმპიადის ჩასატარებლად. ეს ეხება სპორტულ ნაგებობებსა და სასტუმროებს, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სისტემას, პრესას, რადიოს, ტელევიზიას და ინფორმაციის სხვა დამხმარე საშუალებებს. მაგრამ მთავარი მაინც რწმენაა იმისა, რომ ფედერალური მთავრობა დახმარების ხელს გაუწვდის ორგანიზატორებს ოლიმპიადის ფინანსირებაში.

გულუბრყვილო კაცმა შეიძლება დაიჯეროს ეს ყველაფერი, მაგრამ ლიტონი სიტყვებითა და დაპირებებით ნიშანში ვერ ამოიღებ გამოცდილ სპეციალისტს, თუნდაც ისეთს, როგორიცაა იუპ-ის სააგენტოს მიმომხილველი ჯონ მუდი. აი რა განაცხადა მან ერთ-ერთ ინტერვიუში: „1984 წლის ოლიმპიადის ჩატარება ნიუ-იორკში კატასტროფა იქნებოდა არა მარტო ამ ქალაქისთვის, არამედ მთლიანად სპორტისთვის“.

დაახლოებით ანალოგიურ აზრს გამოთქვამს პენსილვანიის უნივერსიტეტის ფიზკულტურის პედაგოგი ჯონ ლუკასი, რომელიც ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი მრავალი გამოკვლევისა და წიგნის ავტორია. იგი ამბობს რომ „ნიუ-იორკში ოლიმპიადის ჩატარება მცდარი იდეაა, რომელიც უსათუოდ კატასტროფით დამთავრდება“.

რას ემყარება ლუკასის მოსაზრება? ჯერ ერთი იმას, რომ 1960 წლიდან მოყოლებული ორგანიზატორებს მუდამ გაზვიადებული წარმოდგენა ჰქონდათ შემოსავალზე და არასდროს ჯეროვნად არ აფასებდნენ ხარჯების მასშტაბურობას. ლუკასის აზრით ყოვლად გაუგებარია ნიუ-იორკის მერის უპასუხისმგებლო განცხადება იმის თაობაზე, რომ ოლიმპიურ სამზადისში არ იქნება გამოყენებული ქალაქის სახსრები. გასაგებია, რომ მსოფლიოს უდიდესი ქალაქის ეკონომიური კრიზისის ფონზე ძნელია ლაპარაკი რაიმე მუნიციპალურ დახმარებაზე, მაგრამ „ფული საიდანღაც ხომ უნდა მოვიდეს? ჰაერიდან ხომ არ ჩამოვარდება?“

ხელისუფალთა ოფიციალურ პოზიციას არ იზიარებს მშენებელი-ინჟინერი რიჩარდ რავიჩიც. მისი გაანგარიშებით ახალი სტადიონების მშენებლობას და ძველის რეკონსტრუქციას სულ მცირე 450 მილიონი დოლარი უნდა დასჭირდეს. ეს დღეს. მაგრამ ხვალ, ზეგ და მომავალში ეს თანხა ხომ უსათუოდ გაორდება ან გასამდება? განა ჩვენი ცხოვრების დინამიკა ამის საბაბს არ გვაძლევს? — სვამს შეკითხვას რავიჩი.

რავიჩმა, როგორც სჩანს, დიდი და დაკვირვებული საინჟინრო-ეკონომიური ცდები ჩაატარა. იგი ამტკიცებს, რომ ნიუ-იორკის ბეისბოლის სტადიონის გადაკეთება ხელბურთის ბაზად, მილიონობით დოლარს წაიღებს. რომ ადგილობრივი უნივერსიტეტის ტანვარჯიშული დარბაზის გადაკეთება საფარიკაო ბაზად — არარეალურია, რომ კოლუმბიის უნივერსიტეტის ფრენბურთის მოედნები ოლიმპიური ტურნირის ჩასატარებლად უვარგისია და ა. შ.

სპეციალისტთა უმრავლესობა დიდი ხნის ფიქრის შემდეგ ასეთ დასკვნამდე მივიდა: „ნიუ-იორკი უვარგისი კანდიდატურაა ოლიმპიური თამაშების ჩასატარებლად. ამ ქალაქის სპორტული ბაზების მშენებლობა კი დაჯდება გაცილებით უფრო ძვირი, ვიდრე ეს დილეტანტებს აქვთ წარმოდგენილი“.

საინტერესოა, როგორი იქნება ამ დილეტანტთა შემდგომი ნაბიჯი?

იპყრობენ პამირის „გოლიათებს“

ოში, 15 აგვისტო. სპორტულ წარმატებებზე მეტად გვახარებს პამირის თოვლიან ფერდობებზე ჩასახული სხვადასხვა ქვეყნისა და კონტინენტის ხალხების მეგობრობა, — თქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ჩეხოსლოვაკიელ ალპინისტთა მეთაურმა მ. მატიაშაკმა. ამ ჯგუფმა ახლახან დაიპყრო საბჭოთა კავშირის უმაღლესი წერტილი — კომუნიზმის პიკი (7495 მ ზღვის დონიდან).

საერთაშორისო ბანაკი „პამირი“ დიდად პოპულარულია მსოფლიოს ალპინისტთა შორის. წელს აქ თავი მოიყარა ევროპის, აზიისა და ამერიკის თერთმეტი ქვეყნის 160-მა მთამსვლელმა. მათ ყველაზე მეტად იზიდავს ლენინის პიკი (7134). ეს მწვერვალი უკვე დალაშქრა გდრ-ის, მექსიკის, პოლონეთის, გფრ-ის, შვეიცარიის 100-ზე მეტმა სპორტსმენმა, აგრეთვე, ჩეხოსლოვაკიელ მთამსვლელთა კიდევ ერთმა ჯგუფმა.

საკდესი.

ყირგიზეთის სსრ.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი. ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99 56 14, 93 97 50; რედაქტორის მოადგილე — 99 66-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93 97 52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99 81-71, 93 97 56; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93 97 55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-50; მოსწავლე და სტუდ. ახალგაზრდობის — 93 97 53; კადრების — 93-97-51; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93 97-49; გამომშვები — 93 93 81; ფოტოლაბორატორია — 93 97 58; მემანქანეები — 93-97-57.
ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 09994